*დანართი №4*

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოლაჯურის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შესახებ**

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

თავმჯდომარე: ნინო ბეგლარაშვილი

**წევრები:**

ნინო ქიტიაშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

თამარ ჯანგულაშვილი - დარგის ექსპერტი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## ნაწილი I. შესავალი

### I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოლაჯურის საჯარო სკოლა

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: 222727985

### II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2025 წლის 26 ივნისის N759997 ბრძანების საფუძველზე, დაწესებულების პირობების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31 - ე მუხლის მე - 2 პუნქტის ა) ქვეპუნქტის ა.ა) კომპონენტის, გ) ქვეპუნქტის გ.ა) კომპონენტებთან, დ) ქვეპუნქტის დ.ა) კომპონენტთან და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ("ადმინისტრაციული სერვისები") დებულების 31 - ე მუხლის, მე 2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ა); ბ.ბ); ბ.გ) და ბ.დ) კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით, სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოლაჯურის საჯარო სკოლაში (მისამართი: ადიგენი, სოფელი ბოლაჯური). ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის პირველ ივლისს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვიზიტი წარიმართა თანდართული დღის წესრიგის შესაბამისად. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების დოკუმენტაციას, გაესაუბრა ადმინისტრაციის წევრებს, პროგრამის ხელმძღვანელსა და განმახორციელებელ პერსონალს.

ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო სივრცეები და მატერიალური რესურსი.

**III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა**

*გთხოვთ, მოიყვანოთ საუკეთესო გამოცდილების მაგალითი(ებ)ი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.*

**ნაწილი II: სტანდარტებთან შესაბამისობა და რეკომენდაციები**

**I. ავტორიზაციის სტანდარტებთან/კომპონენტებთან შესაბამისობის ცხრილი**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| **სტანდარტი/კომპონენტი** | **საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|---|
| **1) დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება** | **☒ შეესაბამება**<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** | **☒ შეესაბამება**<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** |
| 1.1) დაწესებულების მისია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 1.2) დაწესებულების სტრატეგიული განვითარება | არ ფასდება **(შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)** | |
| **3) პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები** | **☒ შეესაბამება**<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** | **☒ შეესაბამება**<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** |
| 3.1) პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 3.2) პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები | არ ფასდება **(შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)** | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| **4) ადამიანური რესურსები** | ☐ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☒ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** | ☐ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☒ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| 4.1) პერსონალის და პროცესების მართვა | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☒ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☒ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 4.2) პერსონალის განვითარება | არ ფასდება **(შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)** | |
| **5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები** | ☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება** | |
| 5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა | არ ფასდება **(შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)** | |
| 5.2) საინფორმაციო რესურსები | არ ფასდება **(შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)** | |
| 5.3) ფინანსური რესურსები | არ ფასდება **(შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)** | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## II. პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

| პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|---|
| ადმინისტრაციული სერვისები | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

*გთხოვთ, ასახოთ **ყველა ხარვეზი** (სტანდარტის შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში, სტანდარტის ინდიკატორის მითითებით.*

## IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

- დაწესებულებამ უზრუნველყოს ორგანიზაციის სტრუქტურაში პროფესიული განათლების მიმართულების ინტეგრირებით დაწესებულებების სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება, შესაბამისობის გეგმის მიხედვით, **არაუგვიანეს 2026 წლის მაისის თვისა. ინდიკატორი 4.1.1.2**

- დაწესებულებამ უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მატერიალური რესურსის მობილიზება შესაბამისობის გეგმის მიხედვით, **არაუგვიანეს 2025 წლის სექტემბრის თვისა. ინდიკატორი 2.2.1.1**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- დაწესებულებამ უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობისთვის საჭირო რაოდენობის ადამიანური რესურსის მობილიზება შესაბამისობის გეგმის მიხედვით, **არაუგვიანეს 2025 წლის ნოემბრის თვისა. ინდიკატორი 2.2.1.2**
- დაწესებულებამ უზრუნველყოს პროფესიული განათლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარება პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენციის გაძლიერების მიზნით, შესაბამისობის გეგმის მიხედვით, **არაუგვიანეს 2025 წლის ნოემბრის თვისა. ინდიკატორი 2.2.1.3**
- დაწესებულებამ უზრუნველყოს პროგრამის ხელმძღვანელის პროფესიული განვითარება პროფესიული განათლების მიმართულებით, შესაბამისობის გეგმის მიხედვით, **არაუგვიანეს 2025 წლის ნოემბრის თვისა. ინდიკატორი 2.2.1.4**
- დაწესებულებამ უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების საგანმანათლებლო რესურსის მობილიზება შესაბამისობის გეგმის მიხედვით, **არაუგვიანეს 2025 წლის ნოემბრის თვისა. ინდიკატორი 2.2.1.5**

## V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

## VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოლაჯურის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი იქნა არგუმენტირებული პოზიცია, რომელშიც დაწესებულება დაეთანხმა დასკვნის პროექტში მოყვანილ გარემოებებს. შესაბამისად, დასკვნის პროექტში მოცემული გარემოებები დარჩა უცვლელი.

## ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება

1. **დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება**

**1.1 საგანმანათლებლო დაწესებულების მისია**

**1.1.1** დაწესებულებას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში

1. დაწესებულების მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა დაწესებულებებისაგან;
3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;
4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლის მისიაში იკვეთება, რომ დაწესებულება ქმნის კონკურენტუნარიანი ახალგაზრდების სწავლისა და კვლევისათვის აუცილებელ გარემოსა და პირობების, ზრუნავს მოსწავლეების 21-ე საუკუნის უნარ-ჩვევებით აღჭურვაზე და ეხმარება მათ საკუთარი როლის განსაზღვრაში. სკოლა მიზნად ისახავს კვალიფიციური კადრების მომზადებისა და დასაქმებისთვის საჭირო კომპეტენციების განვითარებას სტუდენტებში. შესაბამისად, ჩანს, რომ სკოლის მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს - ორიენტირებულია პროფესიულ სტუდენტთა შესაძლებლობების გამოვლენასა და განვითარებაზე. დაწესებულება ორიენტირებულია, რომ კვალიფიციური კადრების მომზადებით ხელი შეუწყოს ეკონომიკის განვითარებასა და პროფესიული სტუდენტის უწყვეტ პროფესიულ განვითარებას. **ინდიკატორი 1.1.1.1 დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლის მისია არის გასაგები და მასში იკვეთება დაწესებულების ძირითადი პროფილი. ის არის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც დაინტერესებულ პირებს სთავაზობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/პროგრამებს. ნათელია, რომ დაწესებულების როლია ახალგაზრდებისთვის არა მარტო ზოგადი, არამედ პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობის შექმნა. სასწავლო დაწესებულება ორიენტირებულია ბენეფიციართა კონკურენტუნარიანობის გაზრდაზე, მათი შესაძლებლობების რეალიზების ხელშეწყობითა და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით. **ინდიკატორი 1.1.1.2 დაკმაყოფილებულია.**
3. დაწესებულების ხედვა და ღირებულებები გამომდინარეობს მისიიდან. სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოლაჯურის საჯარო სკოლის მომავლის ხედვაა, რომ იგი იყოს მყარი და მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებული, თანამედროვე მოთხოვნათა და გამოწვევათა შესაბამისად, ზრუნავდეს თავისუფალი და კომპეტენტური პიროვნების ჩამოყალიბებაზე, რომელიც იქნება შრომის ბაზრის მოთხოვნების რელევანტური კომპეტენციებითა და უნარ-ჩვევებით აღჭურვილი, კონკურენტუნარიანი და კვალიფიციური. სკოლის ხედვაა პროფესიული სწავლების მიმართულებით, გახდეს ადიგენის მუნიციპალიტეტში წარმატებული დაწესებულება, რომელშიც ისწავლიან მუნიციპალიტეტში არსებულ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სხვადასხვა თემში მცხოვრები სტუდენტები, რომელთაც შესთავაზებს. ხარისხიან პროფესიულ განათლებას და ხელს შეუწყობს მათ დასაქმებას ადგილობრივ კერძო და საჯარო ორგანიზაციებში. სკოლის ღირებულებებიც აქცენტს აკეთებს ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: სახელმწიფოს წარმატება, პროფესიონალიზმი, სწავლა-სწავლების მაღალ ხარისხზე ზრუნვა, საზოგადოებრივ ინტერესებზე, კეთილდღეობაზე ზრუნვა, უწყვეტი პროფესიული წინსვლა და ა.შ. **ინდიკატორი 1.1.1.3 დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის მიერ დამტკიცებული მეთოდოლოგიის შესაბამისად, მისია, ხედვა, ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, დირექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ. დაწესებულების ფილოსოფია გაზიარებულია სკოლის ვებგვერდზე, სხვა სოციალური საკომუნიკაციო არხებით და გამოკრულია სკოლაში თვალსაჩინო ადგილზე. **ინდიკატორი 1.1.1.4 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით.*

- სამეურვეო საბჭოს ოქმით დამტკიცებული ცვლილება სკოლის ფილოსოფისა და სტრატეგიაში;
- სკოლის ვებგვერდი;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ არ შეესაბამება

**3. პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები**

**3.1 პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა**

**3.1.1** პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. დაწესებულების შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;
3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;
4. დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;
5. დაწესებულება ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოლაჯურის საჯარო სკოლას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის შემუშავებული აქვს დეტალური შიდა რეგულაციები და პროფესიული სტუდენტის ხელშეკრულების ფორმა, რომელიც სრულად ითვალისწინებს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვისა და შესაბამისი გარანტიების უზრუნველყოფის კუთხით. დოკუმენტში დეტალურადაა გაწერილი პროფესიული სტუდენტის:

- სწავლასთან დაკავშირებული უფლებები (დამატებითი შეფასება, ხარისხიანი განათლების მიღება, რესურსებზე წვდომა და ა.შ.);
- პირადი უფლებები და თავისუფლებები, როგორებიცაა: ღირსების დაცვა, აზრის თავისუფლად გამოხატვა, ორგანიზაციებში გაწევრიანება;
- შეფასების გასაჩივრების მექანიზმები;
- მობილობის შესაძლებლობა, მათ შორის პროგრამის ცვლილების ან გაუქმების შემთხვევაში სწავლის გაგრძელების უფლება;
- დისციპლინური წესები და გარანტიები, მათ შორის დისციპლინური საქმისწარმოებისას ადმინისტრაციული კოდექსის დაცვა;
- უსაფრთხო და ადაპტირებული სასწავლო გარემო, მათ შორის პირველადი დახმარების სერვისები, ბიბლიოთეკისა და ინფორმაციული რესურსების ხელმისაწვდომობა, დაცული სივრცე და ქცევის წესები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გარდა ამისა, რეგულაციებში გათვალისწინებულია სკოლის ვალდებულებები პროფესიული სტუდენტის წინაშე, რომლებიც ეხება როგორც სასწავლო პროცესის უზრუნველყოფას, ისე კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულებასა და სტუდენტის ინტერესების გათვალისწინებას.
აღნიშნული წესები, ხელშეკრულების ფორმასთან ერთად, ქმნის სამართლებრივად გამართულ და დაცულ გარემოს პროფესიული სტუდენტისთვის და სრულად პასუხობს როგორც ეროვნული კანონმდებლობის, ისე პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მოთხოვნებს. **ინდიკატორი 3.1.1.1 დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტები დეტალურად გაეცნობიან თავიანთ უფლებებსა და დაცვის მექანიზმებს პროგრამაში ჩართვისთანავე. ამას უზრუნველყოფს როგორც სტუდენტთან გაფორმებული ხელშეკრულება, ასევე დაწესებულების შიდა მარეგულირებელი დოკუმენტები.
ხელშეკრულებით პროფესიული სტუდენტი ადასტურებს, რომ გაეცნო:

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულებას;
- სკოლის წესდებასა და სხვა სამართლებრივ აქტებს, რომლებიც განსაზღვრავენ მის უფლებებს, მოვალეობებსა და პასუხისმგებლობას.

ხელშეკრულებაში მკაფიოდ მითითებულია პროფესიული სტუდენტის შესაძლებლობები:

- მიიღოს ინფორმაცია სასწავლო პროცესა და საკუთარ უფლებებთან დაკავშირებით;
- გაასაჩივროს დაწესებულებაში დასაქმებულის ან სხვა სტუდენტის არამართლზომიერი ქმედება;
- მოითხოვოს შეფასების სამართლიანობა და გასაჩივრების წესი;
- სასამართლოს მიმართოს ადმინისტრაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებით;
- ისარგებლოს მობილობის უფლებით და გააგრძელოს სწავლა სხვა პროგრამაზე დადგენილი წესით.

დაცულია სტუდენტის პირადი სივრცე და კონფიდენციალურობა – ხელშეკრულებითა და შიდა დებულებებით განსაზღვრულია, რომ სტუდენტის პირადი, მათ შორის პოლიტიკური ან რელიგიური მოსაზრებები, კონფიდენციალურია და მათი გამჟღავნება მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევებშია ნებადართული.
ასევე, რეგულაციები ადგენს სტუდენტისთვის ხელმისაწვდომ და გაუმჭვირვალე გზებს პრეტენზიებისა და საჩივრების დასაფიქსირებლად, რაც აძლიერებს კანონით მინიჭებული უფლებების რეალურ გამოყენებას.
დამატებით, დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების ინტერესების დაცვას კარიერული განვითარების მიმართულებითაც. „პროფესიულ სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერის მექანიზმები“ (ბრძანება N19), რომელიც ადგენს პროფესიული სტუდენტებისათვის ინფორმაციის მიწოდების, კონსულტაციისა და მხარდაჭერის გზებს მათ დასაქმებასა და კარიერულ განვითარებაში. პროფესიულ სტუდენტს შესაძლებლობა აქვს მიიღოს მიზნობრივი მხარდაჭერა, გააფართოოს პროფესიული უნარები და გამოიყენოს საკუთარი უფლებები დასაქმების პროცესში.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გარდა ამისა, დირექტორთან გასაუბრებით დგინდება, რომ ჩატარდება დეტალური საინფორმაციო შეხვედრები, რომელთა ფარგლებშიც ზეპირი ფორმითაც მოხდება განმარტება სტუდენტების უფლებებისა და დაცვის საშუალებების შესახებ.
ზემოაღნიშნული გარემოებები უზრუნველყოფს არა მხოლოდ ინფორმირებულობას, არამედ სტუდენტის რეალურ შესაძლებლობას, გამოიყენოს დაცვის მექანიზმები, რასაც ადასტურებს რეგულაციებისა და ხელშეკრულების შინაარსი, ასევე ადმინისტრაციის პრაქტიკა. **ინდიკატორი 3.1.1.2 დაკმაყოფილებულია.**

3. სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოლაჯურის საჯარო სკოლაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შემუშავებული და დამტკიცებული რეგულაციებით უზრუნველყოფილია სტუდენტების შეფასების პროცესის განხორციელება ღიად, გამჭვირვალედ და წინასწარ განსაზღვრული წესების საფუძველზე. რეგულაციები ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების ინფორმირებულობას შეფასების სისტემის პრინციპებისა და წესების შესახებ პროგრამაზე ჩარიცხვისთანავე, როგორც დოკუმენტურად, ასევე ზეპირი ინსტრუქტაჟის გზით.
პროფესიული სტუდენტი აფორმებს სასწავლო ხელშეკრულებას, რომლის მუხლებში მითითებულია, რომ:

- სტუდენტს აქვს უფლება მოითხოვოს ცოდნის სამართლიანი შეფასება;
- სტუდენტს უფლება აქვს დადგენილი წესით გაასაჩივროს შეფასების შედეგები;
- სტუდენტს აქვს უფლება მიმართოს სასამართლოს, თუ მიიჩნევს, რომ დარღვეულია მისი უფლება შეფასებასთან დაკავშირებით.

ზემოხსენებული მექანიზმები დეტალურად არის გაწერილი:

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულებაში;
- ბოლაჯურის საჯარო სკოლის წესდებასა და სხვა შიდა რეგულაციებში, რომლებზეც სტუდენტი აწერს ხელს და ადასტურებს, რომ გაეცნო მათ შინაარსს.

**ინდიკატორი 3.1.1.3 დაკმაყოფილებულია.**

4.სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოლაჯურის საჯარო სკოლა უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას ხელშეკრულებაზე ხელმოწერის გზით, რომელიც ფორმდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისთანავე.
ხელშეკრულება დეტალურად ასახავს პროფესიული სტუდენტის:

- უფლებებს (მათ შორის ხარისხიანი განათლების მიღების, შეფასების გასაჩივრების, საინფორმაციო რესურსების გამოყენების, დისკრიმინაციისგან დაცვისა და სხვა უფლებებს);
- ვალდებულებებს;
- აკრძალვებს;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- აზუსტებს სწავლების პირობებს, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდსა და შეწყვეტის წესებს.

არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტების შემთხვევაში, ხელშეკრულების დადებისას გათვალისწინებულია კანონიერი წარმომადგენლის (მშობლის ან მეურვის) მონაწილეობა.

ხელშეკრულების მეშვეობით სკოლა უზრუნველყოფს:

- პროფესიული სტუდენტის ინფორმირებულობას მისი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ;
- დაწესებულების მიერ აღებული პასუხისმგებლობების განსაზღვრას;
- ადმინისტრაციულ ურთიერთობებში გამჭვირვალობისა და სამართლებრივი დაცვის მექანიზმების არსებობას.

შესაბამისად, ხელშეკრულება წარმოადგენს სამართლებრივ ინსტრუმენტს, რომელიც სრულად იცავს პროფესიული სტუდენტის უფლებებს, მათ შორის არასრულწლოვანთა შემთხვევაში და ქმნის სამართლებრივად გამართულ და სამართლიან გარემოს პროფესიული განათლებისთვის. **ინდიკატორი 3.1.1.4 დაკმაყოფილებულია.**

5.სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოლაჯურის საჯარო სკოლა უზრუნველყოფს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებასა და განხორციელებას იმ პროფესიული სტუდენტებისათვის, ვისთვისაც ეს გათვალისწინებულია შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლებით.

პროგრამის განმახორციელებელი პირები ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენისას იხელმძღვანელებენ:

- პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულებით;
- პროფესიული სტუდენტის საჭიროებებით, ინტერესებითა და მიზნებით;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტებისთვის ინკლუზიური განათლების პოლიტიკითა და მხარდაჭერის სტრატეგიებით.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მუშავდება პროფესიული სტუდენტის მონაწილეობით და მოიცავს:

- სასწავლო პროცესის განსხვავებული ტემპით წარმართვის შესაძლებლობას (მაგალითად, მოდულების სხვადასხვა თანმიმდევრობით გავლას);
- სასწავლო დატვირთვისა და დროის მორგებას კონკრეტული სტუდენტის საჭიროებებზე;
- შეფასების გრაფიკისა და ფორმების ადაპტირებას.

დაწესებულება ინდივიდუალური გეგმების შემუშავებისას უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის ჩართულობას, შესაბამისი წერილობითი შეთანხმებების საფუძველზე და რეგულარულად მიადევნებს თვალს გეგმის შესრულებას.

სტუდენტის საჭიროებების, ინტერესებისა და კარიერული მიზნების გათვალისწინებით, ინდივიდუალური გეგმის შემუშავებისას გათვალისწინებულია დაწესებულებაში მოქმედი პროფესიულ სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერის მექანიზმიც. სტუდენტს შეუძლია მიიღოს კონსულტაცია პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვაზე პასუხისმგებელი პირისგან, რაც დაეხმარება სასწავლო პროცესის მორგებას რეალურ პროფესიულ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიზნებზე. ეს უზრუნველყოფს, რომ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იყოს მორგებული არა მხოლოდ აკადემიურ, არამედ კარიერულ პერსპექტივებსაც.
შედეგად, დაწესებულებას აქვს მზაობა, შექმნას მოქნილი და სტუდენტზე მორგებული საგანმანათლებლო გარემო, რომელიც ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტის ინტერესებს, საჭიროებებსა და რეალურ შესაძლებლობებს. **ინდიკატორი 3.1.1.5 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით.*

- სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოლაჯურის საჯარო სკოლის დირექტორის N 24 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული სტუდენტის უფლებები და ვალდებულებები;
- პროფესიულ სტუდენტთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმა;
- სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოლაჯურის საჯარო სკოლის დირექტორის N19 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიულ სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერის მექანიზმები;
- სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოლაჯურის საჯარო სკოლის დირექტორის N25 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**4. ადამიანური რესურსები**

**4.1 პერსონალის და პროცესების მართვა**

**4.1.1** დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. დაწესებულებაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. დაწესებულებების სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს დაწესებულების ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოლაჯურის საჯარო სკოლაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების პროცესის ეფექტური მართვის უზრუნველსაყოფად დოკუმენტურად დასტურდება შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისა და პირების ფუნქციები და მოვალეობები.

   დოკუმენტურად განსაზღვრულია შემდეგი პოზიციების ფუნქცია-მოვალეობები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები და უნარ-ჩვევები:

   - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, რომელიც პასუხისმგებელია ხარისხის მართვის პროცესებზე, ავტორიზაციის მოთხოვნების შესრულებაზე, შიდა თვითშეფასების ორგანიზებაზე, მონიტორინგისა და შეფასების პროცედურების კოორდინაციაზე, პროგრამის რესურსების ხარისხსა და დასაქმების კვლევაზე.
   - პროფესიული განათლების კოორდინატორი, რომლის ფუნქციაა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, ორგანიზებისა და განხორციელების მხარდაჭერა, მასწავლებლების სამუშაო საათების მართვა, სწავლების ხარისხის მონიტორინგი, კომუნიკაცია სტუდენტებთან და დამსაქმებლებთან.
   - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, რომელიც ხელმძღვანელობს სასწავლო პროცესს, აკონტროლებს ლაბორატორიებს, სწავლების ხარისხსა და სტუდენტთა დისციპლინას.
   - პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელიც უშუალოდ ახორციელებს სწავლების პროცესს, ახორციელებს შეფასებასა და სტუდენტთა კონსულტაციას.
   - პროფესიული განათლების მიზნებისთვის შესყიდვების სპეციალისტი, რომელიც ზრუნავს შესყიდვების პროცესზე, სატენდერო დოკუმენტაციის მომზადებასა და ხელშეკრულებების მართვაზე.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- რეესტრის წარმოების სპეციალისტი, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის სწორ და დროულ აღრიცხვას რეესტრში.

**ინდიკატორი 4.1.1.1 დაკმაყოფილებულია.**

2. სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოლაჯურის საჯარო სკოლაში ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების სათანადო განაწილება მიღწეულია პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკის საფუძველზე, რომელიც განსაზღვრავს თითოეული თანამშრომლის როლს, ვალდებულებებსა და უფლებებს. პერსონალის მართვის პროცესი სისტემატიზებულია და მოიცავს კადრების შერჩევას, ინტეგრაციას, შეფასებას, წახალისებასა და დისციპლინას, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტიან და შედეგზე ორიენტირებულ განხორციელებას.

ამ პოლიტიკის ფარგლებში, ყველა სტრუქტურულ ერთეულსა და თანამშრომელს გადანაწილებული აქვს კონკრეტული ფუნქციები, რაც აუმჯობესებს თანამშრომლობას, ერთიან ორგანიზაციულ მიზნებთან შესაბამისობასა და სამსახურის ხარისხს.

მიუხედავად იმისა, რომ სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალის სამუშაო აღწერილობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების მარეგულირებელი დოკუმენტი, აღნიშნულ დოკუმენტში განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულები სრულად ვერ უზრუნველყოფს ძირითადი და დამხმარე საგანმანათლებლო პროცესების სრულყოფილად განხორციელებას, ვინაიდან საჭიროა აღნიშნული ფუნქცია-მოვალეობების განმარტება და შესაბამისი ინფორმირება პერსონალთან. შესაბამისად, დაწესებულება გეგმავს აღნიშნული მიმართულებით გარკვეული აქტივობების განხორციელებას, რისთვისაც დაწესებულებას დირექტორის 11.06.2025 წლის N29 ბრძანებით დამტკიცებული აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც გაწერილია სტანდარტის შესაბამისობის მოყვანაზე პასუხისმგებელი პირები, აქტივობები და თარიღები. ინდიკატორი **4.1.1.2 ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია.**

3. სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოლაჯურის საჯარო სკოლაში ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულებისა და პირების ფუნქციები მკაცრად არის განსაზღვრული და განაწილებული ისე, რომ გამორიცხულია ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობის შესაძლებლობა. ეს უზრუნველყოფს ხარისხის სისტემის მიუკერძოებლობას, გამჭვირვალობასა და ობიექტურ შეფასებას, რაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს სკოლის ეფექტიან მართვაში და სასწავლო პროცესის ხარისხის გაძლიერებაში. **ინდიკატორი 4.1.1.2 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით.*

- სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოლაჯურის საჯარო სკოლის დირექტორის N28 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოლაჯურის საჯარო სკოლის დირექტორის N27 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკა;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოლაჯურის საჯარო სკოლის დირექტორის N17 ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები
- შესაბამისობის გეგმა;
- ინტერვიუს შედეგები.

**4.1.2** დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

1. დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად;
2. დაწესებულების პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოლაჯურის საჯარო სკოლაში პერსონალის მართვის პროცესები ეფუძნება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას, მათ შორის ორგანულ კანონს „საქართველოს შრომის კოდექსი“, ასევე სკოლის შინაგანაწესს, პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკასა და სხვა შიდა რეგულაციებს.

პერსონალის შერჩევა, შრომითი ხელშეკრულების გაფორმება, შეფასება, წახალისება და დისციპლინური ზომების გამოყენება ხორციელდება სამართლებრივი ჩარჩოს სრული დაცვით, რაც უზრუნველყოფს პროცედურების გამჭვირვალობას, სამართლიანობასა და თანაბარ მიდგომებს. **ინდიკატორი 4.1.2.1. დაკმაყოფილებულია.**

2. სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოლაჯურის საჯარო სკოლაში დამტკიცებული დოკუმენტაციის მიხედვით, პერსონალის შერჩევის პროცესი ორგანიზებულია ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით. შიდა რეგულაციით განსაზღვრულია, რომ კვალიფიციური კადრების მოზიდვა და შერჩევა ხდება ვაკანტური პოზიციებისათვის სამუშაოს აღწერისა და პოზიციის მოთხოვნების საფუძველზე. საჭიროების შემთხვევაში, სკოლის ადმინისტრაცია აცხადებს ღია კონკურსს, რომელიც საჯაროდ ქვეყნდება როგორც სკოლის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, ასევე



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სოციალურ მედიასა და სხვა არხებზე. შერჩევის პროცესში გამოიყენება გასაუბრება, ტესტირება ან სხვა შესაბამისი ფორმატი, რაც უზრუნველყოფს კანდიდატების უნარებისა და ცოდნის ობიექტურ შეფასებას. **ინდიკატორი 4.1.2.2. დაკმაყოფილებულია.**

3. სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოლაჯურის საჯარო სკოლაში პერსონალის შერჩევის და დანიშვნის პროცესში მნიშვნელოვანი პრიორიტეტია კანდიდატის კვალიფიკაციის თანხვედრა კონკრეტული თანამდებობის მოთხოვნებთან. აღნიშნული უზრუნველყოფილია როგორც შერჩევის პროცესის დაწყებამდე პოზიციისთვის კონკრეტული სამუშაო აღწერილობის განსაზღვრით, ასევე შერჩევის ეტაპზე კანდიდატების პროფესიული კომპეტენციებისა და განათლების დოკუმენტური დადასტურებით.

პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკის მიხედვით, სკოლის ადმინისტრაცია იხელმძღვანელებს იმ კრიტერიუმებით, რომლებიც ასახავს თანამდებობისთვის საჭირო ცოდნას, გამოცდილებას, უნარებსა და პიროვნულ მახასიათებლებს. შერჩევისას პრიორიტეტულად განიხილება სპეციალობით შესაბამისი უმაღლესი განათლება, სამუშაო გამოცდილება და პროფესიული კომპეტენციები.

შედეგად, წინასახელშეკრულებო ურთიერთობით შერჩეული პერსონალი შეესაბამება დაკავებული თანამდებობების მოთხოვნებს. **ინდიკატორი 4.1.2.3 დაკმაყოფილებულია.**

4. სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოლაჯურის საჯარო სკოლაში პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა დაფუძნებულია მონაწილეობით და გუნდური მუშაობის პრინციპებზე. პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკის შესაბამისად, სკოლის ხელმძღვანელობა უზრუნველყოფს პერსონალის სრულ ჩართულობას გადაწყვეტილებების მიღების, შეფასების და განვითარებაზე ორიენტირებულ პროცესებში.

პოლიტიკა ეფუძნება ღირებულებებს, როგორებიცაა: თანამშრომელთა ჩართულობა, სამართლიანობა, თანაბარი შესაძლებლობები და პროფესიული განვითარება. დოკუმენტში განსაზღვრულია, რომ სკოლა უზრუნველყოფს შესრულებული სამუშაოს შეფასების პროცესში პერსონალის სრულ ჩართულობას, რაც გამოკვეთილად მიუთითებს მონაწილეობით მენეჯმენტზე.

ორგანიზაციული კულტურა ხელს უწყობს ღია კომუნიკაციას, თანამშრომლობის წახალისებასა და პერსონალის მხარდაჭერას. აღნიშნული მიდგომა ქმნის სამუშაო გარემოს, რომელიც მოტივაციასა და თანამშრომელთა თვითრეალიზაციას უწყობს ხელს, რაც დადებითად აისახება სასწავლო პროცესისა და დაწესებულების საერთო საქმიანობის ხარისხზე. **ინდიკატორი 4.1.2.4 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოლაჯურის საჯარო სკოლის დირექტორის N28 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოლაჯურის საჯარო სკოლის დირექტორის N27 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკა;
- სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოლაჯურის საჯარო სკოლის დირექტორის N29 ბრძანებით დამტკიცებული სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა;
- სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოლაჯურის საჯარო სკოლის დირექტორის N26 ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესი;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**ნაწილი IV. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ**

**I. ზოგადი ინფორმაცია**

***ცხრილი ივსება ცალ-ცალკე თითოეული პროგრამისა და ასევე, პროგრამის განხორციელების ადგილის და ენის მიხედვით (ინდივიდუალურ პროგრამებად განიხილება განხორციელების ადგილისა და სწავლების ენის მიხედვით განსხვავებული პროგრამები. მაქსიმუმ 15 პროგრამა).***



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | ადმინისტრაციული სერვისები |
| პროფესიული განათლების დონე | მეოთხე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ადმინისტრაციულ სერვისებში |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0413 |
| პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები | ბრძანება #21, 10.06.2025 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართ(ებ)ი | ადიგენის მუნიციპალიტეტი, სოფელი ბოლაჯური |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში) | იმიტირებულ სამუშაო გარემოში |
| რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური) | |
| პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით | 20 იმიტირებული |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)* | 20 იმიტირებული |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 92 |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 70 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 122 |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 100 |

**II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ**

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

*იმ შემთხვევაში, თუ არ ეთანხმებით დაწესებულების მიერ მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, გთხოვთ, დაასაბუთოთ:*

**III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი**
***ცხრილი ივსება თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე.***



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| სტანდარტი/კომპონენტი | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|---|
| 2) საგანმანათლებლო პროგრამები | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| | ☐ არ შეესაბამება | ☐ არ შეესაბამება |

**IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება**
*ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე.*

**2. საგანმანათლებლო პროგრამები**

**2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება**

**2.1.1** პროგრამა შემუშავებულია დაწესებულებში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოლაჯურის საჯარო სკოლის დირექტორთან გასაუბრებით დადგინდა, რომ პროგრამის დამატების ინიციატივა დაეფუძნა სასკოლო საზოგადოების მოთხოვნას. ჩატარდა მოსწავლეთა და მშობელთა გამოკითხვა, რომლის შედეგადაც გამოიკვეთა ინტერესი ორ პროგრამაზე - ფოტოგრაფია და ადმინისტრაციული სერვისები. დაწესებულების ხელთ არსებული რესურსების გაანალიზების საფუძველზე არჩევანი გაკეთდა ადმინისტრაციული სერვისების პროგრამის დამატებაზე. სკოლა ადგილობრივ თემში ემსახურება რამდენიმე სოფელს, შესაბამისად, რაიონში წარმოადგენს მნიშვნელოვან საგანმანათლებლო ცენტრს. თემში შეინიშნება დეფიციტი კვალიფიციურ კადრებზე. ადგილობრივ მუნიციპალიტეტში არსებულ დაწესებულებებს უჭირთ შესაბამისი უნარების მქონე პირების შერჩევა და დასაქმება ადმინისტრაციული სერვისების გაწევასთან დაკავშირებით. სკოლამ პროგრამის დამატებამდე ჩაატარა შესაბამისი სამუშაოები დაწესებულების ფილოსოფიასა და სტრატეგიაში ცვლილების შეტანის მიზნით. მომავალი ცხოვრებისთვის მოსწავლეთა მომზადებას სკოლის მისია და ხედვა მანამდეც ითვალისწინებდა, თუმცა სასკოლო საზოგადოებასთან შეთანხმებით, სამეურვეო საბჭომ დაამტკიცა სკოლის განახლებული ფილოსოფია და სტრატეგია. ამჟამად სკოლის ხედვა აქცენტს აკეთებს შრომის ბაზრის მოთხოვნების რელევანტური კომპეტენციებითა და უნარ-ჩვევებით აღჭურვილი, კონკურენტუნარიანი და კვალიფიციური ახალგაზრდების აღზრდაზე. სკოლის ხედვაა, პროფესიული სწავლების მიმართულებით გახდეს ადიგენის მუნიციპალიტეტში წარმატებული დაწესებულება, რომელშიც ისწავლიან მუნიციპალიტეტში არსებულ სხვადასხვა თემში მცხოვრები სტუდენტები, რომელთაც შესთავაზებს ხარისხიან პროფილურ განათლებას, ხელს შეუწყობს კარიერულ წინსვლაში და მოამზადებს კონკურენტუნარიან, მაღალკვალიფიციურ კადრებს ადგილობრივი კერძო და საჯარო ორგანიზაციებისთვის. ხედვის შესაბამისად, სკოლის მისიაა კვალიფიციური კადრების მომზადება და დასაქმებისთვის საჭირო კომპეტენციების განვითარება სტუდენტებში. სტრატეგიულ მიზნადაც სკოლას განსაზღვრული აქვს შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა/განხორციელება. **ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია.**

2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამზე დაშვების წინაპირობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმით სწავლების შემთხვევაში არის საბაზო განათლება, ხოლო არაინტეგრირებული სასწავლო გეგმით სწავლებისას - სრული ზოგადი განათლება. პროგრამაზე დაშვება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანებისა და სკოლაში დადგენილი წესების შესაბამისად, რაც გაწერილია სკოლის დირექტორის მიერ 2025 წლის 11 ივნისის N25 ბრძანებით დამტკიცებულ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულებაში. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა და მიღების პროცედურები უზრუნველყოფს ისეთ პირთა დაშვებას, რომლებიც პროგრამის განხორციელების ვადაში შეძლებენ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებულია პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი, რაც თავის მხრივ ითვალისწინებს პროგრამების სპეციფიკას, მატერიალური რესურსის რაოდენობასა და მათი სასწავლო პროცესში გამოყენების ინტენსივობას. სკოლაში არსებობს სამი ტიპის სასწავლო გარემო - A, B და C. დასაშვებია ერთ სივრცეში ორი ან მეტი ტიპის სასწავლო გარემოს კომბინირებული მოდელის შექმნა. მაგალითად, ერთ სივრცეში A და C, B და C ან A, B და C გარემოს კომბინირება. **„ადმინისტრაციული სერვისების“**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული პროგრამის სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთება დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს სწორედ ამ წესის შესაბამისად. **ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტს თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსის ჩამონათვალი, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია.**

**5.** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„ადმინისტრაციული სერვისები“** მოიცავს ზოგად და პროფესიულ მოდულებს და არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს. **ინდიკატორი 2.1.1.5 დაკმაყოფილებულია.**

**6.** სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოლაჯურის საჯარო სკოლის „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების“ დებულების თანახმად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„ადმინისტრაციული სერვისები“** დამტკიცებულია დირექტორის 2025 წლის 10 ივნისის N21 ბრძანებით). **ინდიკატორი 2.1.1.6 დაკმაყოფილებულია.**

**7.** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„ადმინისტრაციული სერვისები“** შემუშავებულია იმავე სახელწოდების პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე, სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსსა და პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს, ასახავს საქმიანობის სფეროს და არ არის შეცდომაში შემყვანი. **ინდიკატორი 2.1.1.7 დაკმაყოფილებულია.**

**8.** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„ადმინისტრაციული სერვისები“** შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, კვალიფიკაციის მინიჭების პირობები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა, ინფორმაცია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლების შესახებ. დაწესებულების მიერ წარმოგენილ დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტში განთავსებულია პროგრამის ძირითადი დოკუმენტები: მოდულები, სასწავლო გეგმა, ინფორმაცია ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შექმნილია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შექმნილი და აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა. სასწავლო გეგმაში დაცულია პროგრამის კომპონენტების ლოგიკური თანმიმდევრობა და გათვალისწინებულია შესაძლო სწავლის შედეგების აღდგენა-ჩაბარებისთვის ვადა. **ინდიკატორი 2.1.1.8 დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულების დამტკიცების შესახებ“ (დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2025 წლის 11 ივნისის N25 ბრძანებით);
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„ადმინისტრაციული სერვისები**“ (დამტკიცებულია დირექტორის 2025 წლის 10 ივნისის N21 ბრძანებით);
- სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის დებულების დამტკიცების შესახებ (დამტკიცებულია დირექტორის 2025 წლის 10 ივნისის N15 ბრძანებით);
- სკოლის 1 წლიანი სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ (დამტკიცებულია დირექტორის 2025 წლის 10 ივნისის N16 ბრძანებით);
- სკოლის შინაგანაწესი;
- პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი;
- სკოლის შესაბამისობის გეგმის დამტკიცების შესახებ (დამტკიცებულია დირექტორის 2025 წლის 11 ივნისის N29 ბრძანებით);
- ინტერვიუს შედეგები.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი**

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესის“ თანახმად, **„ადმინისტრაციული სერვისების“** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისთვის მხედველობაში მიიღება სკოლაში არსებული რესურსი - A,B,C გარემო პროფესიული სტუდენტებისთვის გამოყოფილი ადგილების რაოდენობით. აღნიშნული პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად, დაწესებულებას გამოყოფილი აქვს პროგრამის სივრცე ერთი AB გარემო და სპორტული მოედანი სპორტის მოდულისთვის. წარმოდგენილი მასალების შესწავლის, საგანმანათლებლო გარემოს ვიზუალური დათვალიერების, სკოლის ადმინისტრაციასა და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრა პროგრამაზე **"ადმინისტრაციული სერვისები"** მოხდა დადგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად, დაეფუძნა პროგრამის ინფრასტრუქტურულ, რესურსულ და საგანმანათლებლო შესაძლებლობებს. ასევე ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა სკოლის წარმომადგენლებს, რომელთაც დაადასტურეს სტუდენტების რაოდენობის გამტარუნარიანობა და შეუფერხებელი სწავლება დაწესებულებაში. ყოველივეს გათვალისწინებით სტუდენტთა მაქსიმალური კვოტა **„ადმინისტრაციული სერვისების“** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განისაზღვრა 20 პროფესიული სტუდენტით ორ ცვლაში. თუმცა პროგრამისთვის გამოყოფილი სივრცეები არ არის აღჭურვილი შესაბამისი რესურსით. სკოლას დამტკიცებული აქვს შესაბამისობის გეგმა, რომლითაც განსაზღვრულია პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურის მობილიზება არაუგვიანეს 2025 წლის სექტემბრის თვისა. **ინდიკატორი 2.2.1.1 მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

**2.** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„ადმინისტრაციული სერვისები“**, განხორციელების მიზნით, სკოლას განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე როგორც ზოგადი და ინტეგრირებული, ასევე პროფესიული მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებლები, სულ პროგრამას ახორციელებს 14 პროფესიული განათლების მასწავლებელი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა ისეა აგებული, რომ მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა იძლევა პროგრამის განხორციელების შესაძლებლობას. პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს. ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტები გაესაუბრნენ განმახორციელებელ პირებს. პერსონალთან გაფორმებულია წინარე ხელშეკრულებები. პერსონალის დოკუმენტაციის შემოწმებით დადგინდა, რომ პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები შესააბამება შიდა რეგულაციით განსაზღვრულ კვალიფიკაციასა და/ან სამუშაო გამოცდილებებს. თუმცა წარმოდგენილი მასალებით დგინდება, რომ დაწესებულებას



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უმეტეს მოდულზე ჰყავს განსაზღვრული მხოლოდ ერთი განმახორციელებელი. დაწესებულებას შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული აქვს პერსონალის მობილიზების საკითხის მოგვარება არაუგვიანეს 2025 წლის ნოემბრის თვისა. ინდიკატორი **2.2.1.2. მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

3.ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„ადმინისტრაციული სერვისები“** პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები (კვალიფიკაციის, სწავლების ან/და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია). შემოწმების შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების კვალიფიკაცია და/ან სამუშაო გამოცდილება შეესაბამება დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. თუმცა, მიუხედავად ამისა, გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ პერსონალს სჭირდება პროფესიული განვითარება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების სპეციფიკის კუთხით. დაწესებულებას შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული აქვს პერსონალის პროფესიული განვითარების უზრუნველყოფა არაუგვიანეს 2025 წლის ნოემბრის თვისა. **ინდიკატორი 2.2.1.3. მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

4.დირექტორის მიერ 2025 წლის 11 ივნისის N28 ბრძანებით დამტკიცებულ „პერსონალის სამუშაო აღწერილობების და საკვალიფიკაციო მოთხოვნების წესში“ განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის როლი, ფუნქციები და საჭირო უნარები. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„ადმინისტრაციული სერვისები“** ხელმძღვანელად დანიშნული პირი აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს, თუმცა მნიშვნელოვანია, სკოლამ უზრუნველყოს მისი პროფესიული განვითარება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების სპეციფიკით. აღნიშნული საკითხი სკოლას გათვალისწინებული აქვს შესაბამისობის გეგმით, რომლის შესაბამისი აქტივობის/აქტივობების განხორციელებასაც აპირებს არაუგვიანეს 2025 წლის ნოემბრის თვისა. **ინდიკატორი 2.2.1.4. მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

5.სკოლას აქვს მზაობა უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამაში **„ადმინისტრაციული სერვისები“** მითითებული საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობა როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული სახით. ამისათვის დაწესებულებას აქვს შესაბამისად მოწყობილი ბიბლიოთეკაც, თუმცა ამ ეტაპზე სკოლას რესურსების მობილიზება გათვალისწინებული აქვს შესაბამისობის გეგმით, არაუგვიანეს 2025 წლის ნოემბრის თვისა. **ინდიკატორი 2.2.1.5 მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

6.დაწესებულებას აქვს მზაობა უზრუნველყოს სსსმ პირებისათვის ინიდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებული მომსახურება, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობა. სკოლის დირექტორის მიერ 2025 წლის 11 ივნისის N25 ბრძანებით დამტკიცებულია „სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება“, რომელშიც განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების პროცედურები, რომლითაც რეგულირდება სსსმ პროფესიული სტუდენტებისთვის, მათი საჭიროებების გათვალისწინებით, დამატებითი მომსახურეობის გაწევის მექანიზმები. ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრულია მოდულის მოდიფიკაცია ან/და აკომოდაცია, რითაც მოხდება სსსმ პირისთვის საჭირო დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურეობის დაზუსტება. საჭიროების შემთხვევაში მოხდება საგანმანათლებლო რესურსის ადაპტირება, რომელიც მორგებული იქნება სსსმ პირზე. სკოლას აქვს სკოლის ფარგლებში სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის გამოცდილება. **ინდიკატორი 2.2.1.6 დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**7.** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ფინასდება სახელმწიფოსგან, ვაუჩერული წესით. საპროგნოზო ბიუჯეტი ითვალისწინებს შემდეგ კრიტერიუმებს: პროფესიული განათლების მასწავლებლების ანაზღაურება, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადმინისტრირება, მასალა და ნედლეული, სხვა მიმდინარე ხარჯი. **ინდიკატორი 2.2.1.7 დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„ადმინისტრაციული სერვისები“** (დამტკიცებულია დირექტორის 2025 წლის 10 ივნისის N21 ბრძანებით);
- პერსონალის სამუშაო აღწერილობების და საკვალიფიკაციო მოთხოვნები (დამტკიცებულია დირეტქორის 2025 წლის 11 ივნისის N28 ბრძანებით);
- პროფესიული განათლების მასწავლებლის ხელშეკრულება;
- სკოლის პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკა (დამტკიცებულია დირეტქორის 2025 წლის 11 ივნისის N27 ბრძანებით);
- სკოლის პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამების განხორციელების დებულება (დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2025 წლის 11 ივნისის N25 ბრძანებით);
- ინტერვიუს შედეგები;
- ვიზუალური დათვალიერებით.

**შეფასება:**

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება**

**2.3.1** პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების ზსდ-ში მოქმედი მექანიზმით



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. სკოლა აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. დაწესებულებას შემუშავებული აქვს სკოლის დირექტორის 2025 წლის 10 ივნისის N17 ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელიც ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებას. სკოლის პროგრამის შეფასებას ახდენს ხარისხის მართვის მენეჯერი. პროგრამის შეფასება ხდება სხვადასხვა კომპონენტისა და ინდიკატორის საფუძველზე. პროგრამის შეფასების შედეგად ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი შეიმუშავებს კონკრეტულ რეკომენდაციებს პროგრამის განხორციელებისა და სწავლის შედეგების მიღწევის შემდგომი სრულყოფის მიზნით. პროგამის შეფასებაში სპეციალური კითხვარების შევსების მეთოდით მონაწილეობენ პროფესიული სტუდენტები, პროფესიული განათლების მასწავლებლები და კურსდამთავრებულები. **ინდიკატორი 2.3.1.1. დაკმაყოფილებულია.**
2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, პროფესიულ სტანდარტში შეტანილი ცვლილებების ან სხვა გარემოებების საფუძველზე. პროგრამების განვითარების კუთხით პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე შესაძლოა განხორციელდეს ცვლილება, კერძოდ, შეიცვალოს მოდულების რიგითობა, სწავლების მეთოდები ან საგანმანათლებლო რესურსები და სხვა. იმის გათვალისწინებით, რომ დაწესებულებას ჯერ არ აქვს პროგრამის განხოციელების უფლება მოპოვებული, მისი შეფასება ჯერ არ განხორციელებულა. **ინდიკატორი 2.3.1.3. დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები (დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2025 წლის 10 ივნისის N17 ბრძანებით);
- სკოლის პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამების განხორციელების დებულება (დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2025 წლის 11 ივნისის N25 ბრძანებით);
- სკოლის კვლევის მეთოდოლოგია (დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2025 წლის 10 ივნისის N23 ბრძანებით);
- ინტერვიუს შედეგები

**შეფასება:**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება**

**2.4.1** სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. ზსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. ზსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1.** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის **„ადმინისტრაციული სერვისები“** შედგენილია სასწავლო გეგმა, მოდულებში განსაზღვრული საათების გათვალისწინებით. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად. სასწავლო გეგმა იძლევა ცხად სურათს პროგრამის თანმიმდევრულად განხორციელების შესახებ და დაცულია მოდულების განხორციელების ლოგიკური თანმიმდევრობა. ვინაიდან, პროგრამას ჯერ არ აქვს ავტორიზებული სტატუსი, მისი სასწავლო გეგმით მიმდინარეობის პროცესი ვერ შეფასდა. დაწესებულების სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ საჭიროების შემთხვევაში შესაძლოა შევიდეს ცვლილება სასწავლო გეგმაში, რაც დირექტორის ბრძანებით მტკიცდება. **ინდიკატორი 2.4.1.1 დაკმაყოფილებულია.**

**2.** სკოლის მარეგულირებელი აქტებით და სკოლის შინაგანაწესით გაწერილია სასწავლო პროცესის ორგანიზების პროცედურები, რომლებიც მორგებულია პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებზე და ითვალისწინებს რეაგირებას შემხვედრ საჭიროებებზე. დოკუმენტები არეგულირებს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, მიღებული განათლების აღიარების პროცედურებს, პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, აპელაციის, კვალიფიკაციის მინიჭების, ინდივიდუალური გეგმის, სწავლების დამატებითი პერიოდის, სასწავლო პროცესში სსსმ პირების ჩართვის, პრაქტიკის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მექანიზმებს, ასევე სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს. დაწესებულება მაქსიმალურ მხარდაჭერას



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გამოუცხადებს პროფესიულ სტუდენტებს ისეთი საკითხების გადაჭრაში, როგორებიცაა: ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება, დამატებითი მეცადინეობის ან/და კონსულტაციის ჩატარება, განმეორებითი შეფასება და სხვა. სკოლა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და საჭიროების შემთხვევაში დაარეგულირებს მეცადინეობათა განხორციელების განრიგს. აღნიშნული მზაობა დადასტურდა სკოლის ადმინისტრაციასა და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრების დროს. **ინდიკატორი 2.4.1.2 დაკმაყოფილებულია.**

**3.** სკოლა მზად არის აქტიურად უზრუნველყოს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგისთვის შესაბამისი ტექნოლოგიების ინტეგრირება სასწავლო პროცესში. აღნიშნულის დასადასტურებლად შეფასების პროცესში განხილული იქნა სხვადასხვა კომპონენტი, ჩატარდა გასაუბრებები პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, რომელთა შეფასებებით დადასტურდა, რომ სწავლების პროცესში აქტიურად გამოიყენებენ ციფრულ ტექნოლოგიებს. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამა ითვალისწინებს სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდებს (ინტერაქციული ლექცია, პრაქტიკული დავალება, პრაქტიკული დავალება დაკვირვებით, როლური თამაში, სიმულაციები და სხვა.) მრავალფეროვანი სასწავლო მეთოდები ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა პრაქტიკულ ჩართულობასა და პროფესიული კომპეტენციების განვითარებას. სკოლა უზრუნველყოფს თანამედროვე ტექნოლოგიების აქტიურ გამოყენებას სასწავლო პროცესში, რაც მოიცავს სათანადოდ აღჭურვილ საკლასო ოთახებსა და ლაბორატორიებს. ინდიკატორი **2.4.1.3 დაკმაყოფილებულია.**

**4.** დაწესებულების რეგულაციებით გაწერილია სასწავლო პროცესის ორგანიზების პროცედურები, რომლებიც მორგებულია პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებზე და ითვალისწინებს რეაგირებას შემხვედრ საჭიროებებზე. დოკუმენტით განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების პროცედურები. სკოლა ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა/წარმომადგენლების ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ინდივიდუალურ საჭიროებად განიხილება ყველა შემთხვევა, როდესაც პროფესიული სტუდენტის ან პროფესიულ სტუდენტთა ჯგუფის სწავლება ძირითადი სასწავლო გეგმით ვერ განხორციელდება. გასაუბრების საფუძველზე, დადასტურდა სკოლის მზაობა აღნიშნული მიმართულებით. **ინდიკატორი 2.4.1.4 დაკმაყოფილებულია.**

**5.** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„ადმინისტრაციული სერვისები“** განხორციელდება იმიტირებული მიდგომით, თუმცა სკოლა გეგმავს სასწავლო ექსკურსიებს სხვადასხვა კერძო და სახელმწიფო დაწესებულებაში, როგორც ადგილობრივ თვითმართველობაში, ასევე საგანმანათლებლო რესურსცენტრსა თუ სკოლებში. **ინდიკატორი 2.4.1.5 დაკმაყოფილებულია.**

**6.** სკოლა ზრუნავს მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე, რაც სკოლის შენობის დათვალიერებითა და ინტერვიუს შედეგებით დასტურდება. დაწესებულებას აქვს მზაობა, შექმნას უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემო პროფესიული სტუდენტებისთვისაც **„ადმინისტრაციული სერვისების“** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. **ინდიკატორი 2.4.1.6 დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები (დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2025 წლის 10 ივნისის N17 ბრძანებით);



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სასწავლო პროდუქტის შენახვის/განკარგვის და სახარჯი მასალების აღრიცხვა გაცემის წესი (დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 11 ივნისის N26 ბრძანებით);
- ფაქტობრივი გარემოება და ინტერვიუირების შედეგები პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პრაქტიკის ობიექტებთან.

**2.4.2** შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.დაწესებულებას დამტკიცებული აქვს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამების განხორციელების დებულება, რომელშიც გაწერილია პროფესიული სტუდენტის შეფასების მექანიზმები - შედეგების დადასტურების, გასაჩივრების, განმეორებით შეფასებაზე გასვლის, შუალედური შეფასებისა და საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების პროცედურების გათვალისწინებით. სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირი და პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულნი არიან, გააცნონ პროფესიულ სტუდენტს შეფასების სისტემა.

შეფასების პროცესამდე ერთი კვირით ადრე პროფესიული განათლების მასწავლებელი სასწავლო პროცესის მენეჯერს წარუდგენს შემუშავებულ შეფასების ინსტრუმენტს. ის ახორციელებს შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკური და შინაარსობრივი მხარის შემოწმებას, შესაბამისი მიმართულების სპეციალისტების ჩართულობით. შეფასების ინსტრუმენტის ავტორი ან/და შემფასებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი არ შეიძლება იყოს ამავე ინსტრუმენტის ვალიდატორი. აღნიშნული პროცედურული დოკუმენტის მოთხოვნათა დაკმაყოფილება დაწსებულებას საშუალებას მისცემს პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა იყოს ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური. **ინდიკატორი 2.4.2.1 დაკმაყოფილებულია.**

2.სკოლას დამტკიცებული აქვს ვერიფიკაციის მექანიზმი, რომლის თანახმადაც ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი ახდენს შეფასების პროცესის ვერიფიკაციას. ვერიფიკაცია ტარდება შერჩევითობის პრინციპით, ვერიფიკაციის პროცესის შედეგები აისახება დასკვნაში. საჭიროების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შემთხვევაში გაიცემა რეკომენდაციები. ვინაიდან **„ადმინისტრაციული სერვისების“** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ამ ეტაპზე ავტორიზაციის მოპოვების პროცესშია, ვერიფიკაციის პროცესი ვერ შეფასდა. **ინდიკატორი 2.4.2.2 დაკმაყოფილებულია.**

**3.** სკოლის რეგულაციებითა და წარმოდგენილი დოკუმენტებით დგინდება, რომ დადასტურებული შეფასების ინსტრუმენტები და პრაქტიკული კომპონენტის შეფასების მტკიცებულებები შეინახება მატერიალური სახით. სასწავლო წლის განმავლობაში პროფესიულ სტუდენტთა განმსაზღვრელი შეფასებისთვის განკუთვნილი მტკიცებულებები, შეინახება სასწავლო პროცესის მენეჯერთან შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის განმავლობაში, შემდგომ იქმნება კომისია და ექვემდებარება განადგურებას. **ინდიკატორი 2.4.2.3 დაკმაყოფილებულია.**

**4.** სკოლის პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ პროგრამის ამოქმედების შემდეგ პერიოდულად განიხილავენ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების შედეგებს ინდივიდუალურ რეჟიმში პროფესიულ სტუდენტებთან, რაც გამოყენებული იქნება მათი შემდგომი განვითარებისათვის, პროფესიული სტუდენტები მიიღებენ უკუკავშირს მათ მიერ შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით. უკუკავშირის დროს დაცული იქნება პერსონალური მონაცემები. **ინდიკატორი 2.4.2.4 დაკმაყოფილებულია.**

**2.4.2.4 სტანდარტი შესაბამისობაშია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები (დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2025 წლის 10 ივნისის N17 ბრძანებით);
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი (დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2025 წლის 10 ივნისის N18 ბრძანებით);
- სკოლის პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამების განხორციელების დებულება (დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2025 წლის 11 ივნისის N25 ბრძანებით);
- ინტერვიუს შედეგები.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ არ შეესაბამება

**ნაწილი VI. თანდართული დოკუმენტაცია**
დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

23.07.2025
თარიღი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: